თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მაგისტრატურა (გზამკვლევი)

1. ზოგადი ინფორმაცია:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ მისიას, თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

2. **როგორ მოვიპოვოთ პირველადი ცნობები ჩვენთვის სასურველი სამაგისტრო პროგრამის შესახებ?**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითოეული ფაკულტეტის ვებ–გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მოქმედი პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, ამ შედეგების მიღწევის მეთოდების, ასათვისებელი კრედიტების მოცულობისა და შეფასების სისტემის, პროგრამის სასწავლო გეგმის (სტრუქტურის), კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების და სხვ. შესახებ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების აღწერილობათა ნახვა შესაძლებელია ფაკულტეტის ვებ–გვერდზე *სასწავლო პროგრამებში* პროგრამათა ამოქმედების წლების მიხედვით.

პროგრამის აღწერილობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი – როგორც საკონტაქტო პირი. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სასურველი ინფორმაცია მიიღოს მისგან პროგრამის შესახებ. გარდა ამისა, აკადემიური რეგისტრაციის პროცესში

რამდენჯერმე ტარდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია, რომელსაც უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი. პრეზენტაციის დროს შესაძლებელია დიალოგის რეჟიმში გაირკვეს რიგი საინტერესო დეტალები პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალისაგან.

3. **რას უნდა მიაქციოთ ყურადღება პირველ რიგში, თუ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომელიმე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებას გადაწყვეტთ?**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობას!

- მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რომელი დარგის ან მიმართულების ბაკალავრის ხარისხია საჭირო თქვენთვის სასურველ სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებლად და აკმაყოფილებს თუ არა თქვენი საბაკალავრო კვალიფიკაცია პროგრამის წინაპირობას.
- გარდა საერთო წინაპირობებისა (ერთიანი სამაგისტრო გამოცდა), თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღებად საჭიროა სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება პროგრამის აღწერილობაში მითითებულ დისციპლინაში. გამოცდის ფორმა წერითია. საგამოცდო საკითხები სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის სიასთან ერთად პროგრამის აღწერილობას თან ერთვის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. საგამოცდო საკითხებთან ერთად მოცემულია ასევე საგამოცდო ბილეთის ფორმირების წესიც.
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) მინიმუმ B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე მაგისტრანტმა უნდა გაიუმჯობესოს უცხოური ენის ცოდნა B2 დონემდე, რისთვისაც სამაგისტრო პროგრამები არჩევითი კურსის სახით გთავაზობთ შესაბამისი უცხოური ენების დარგობრივ ორსემესტრიან კურსებს).

  თსუ ენების ცენტრის მიერ ორგანიზებული მაგისტრატურაში მისაღები უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) ***საგამოცდო ტესტების ნიმუშების*** ნახვა ასევე შესაძლებელია წინასწარ.

4. **მოიპოვეთ სტუდენტის სტატუსი. როგორ მოიპოვოთ დაფინანსება?**

   არსებობს დაფინანსების ორი გზა -

   1) სახელმწიფო გრანტი;

   2) საუნივერსიტეტო დაფინანსება, რომელიც სემესტრულია და პროგრამულად ნაწილდება უგრანტო სტუდენტებზე წინა სემესტრის აკადემიური მონაცემების მიხედვით (პირველი სემესტრის უგრანტო სტუდენტები საუნივერსიტეტო გრანტს იღებენ სპეციალობის გამოცდაზე მიღებული შეფასების მიხედვით. ბრძანება №:47/01-01

.

5. **ზოგადი ინფორმაცია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების მაგისტრანტთათვის:**

სამაგისტრო პროგრამების ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი).
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭიროა **120 ECTS** კრედიტის მოგროვება. მათგან

- **90 ECTS კრედიტი** ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტს (სავალდებულო და არჩევით კურსებს). **სასწავლო კომპონენტის შესრულება ხდება სწავლების პირველ სამ სემესტრში.**
- **30 ECTS** კრედიტი განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის). **სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე (დამამთავრებელ) სემესტრში.**

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, მათ შორის:

- პროგრამის ძირითადი და არჩევითი დისციპლინების ჯამური 90 ECTS კრედიტის შესრულება;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა;
- ევროპული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა / ან გამოცდის ჩაბარება.

უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) კომპეტენციების განვითარებას ემსახურება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში არჩევითი სტატუსით შეტანილი შესაბამისი სასწავლო კურსები (ევროპული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა მაგისტრანტს შეუძლია უცხოური ენის სასწავლო კურსების გაუვლელადაც).

6. **რატომ უნდა ვიცნობდეთ პროგრამის სასწავლო გეგმას (სტრუქტურას)? როგორ განვსაზღვროთ ჩვენი პროფილი, როგორ დავგეგმოთ ჩვენი ინდივიდუალური სასწავლო პროცესი?**

სწორედ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) გვაძლევს წარმოდგენას პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნების თანაფარდობაზე, მათ თანმიმდევრულ დალაგებაზე სემესტრების მიხედვით, მათი გამოცხადების რიგითობაზე ან გაზაფხულის, ან შემოდგომის სემესტრში, ამ კურსების წინაპირობებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სტუდენტის კვირეული სააუდიტორიო დატვირთვაზე.

სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, **სავალდებულო** კურსებად განსაზღვრულია საგნები, რომლებიც სტუდენტს აძლევს მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის აუცილებელ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, **არჩევითი** საგნები კი აღრმავებს და განამტკიცებს სპეციალობით შესაძენ ცოდნასა და უნარებს. სამაგისტრო

პროგრამის სავალდებულო სასპეციალიზაციო და არჩევითი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში და თანაფარდობაშია.
განსაკუთრებული ყურადღება გმართებს **მოდულებიანი სამაგისტრო პროგრამის** შემთხვევაში:

კონკრეტული მოდულის სტუდენტისთვის, ამ მოდულის სავალდებულო საგნების გარდა, აუცილებელია პროგრამის საერთო-სავალდებულო დისციპლინების გავლა, რომელიც პროგრამის სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) თვალსაჩინოდაა გამოყოფილი!

სამაგისტრო სასწავლო კურსების დიდ ნაწილს ხშირად დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, თითოეული ამ სასწავლო დისციპლინის თემატიკა და პრობლემატიკა განაპირობებს სასწავლო კურსის გარკვეულ ავტონომიურობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს დარგის მთლიანობაში გააზრების შესაძლებლობას.

სასწავლო კურსების თანმიმდევრობა პროგრამის კურიკულუმით გულისხმობს მათ დალაგებას და დაგეგმვას სემესტრულად ისე, რომ ეს მექანიზმი სტუდენტისთვის იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. პროგრამის სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) მითითებულია სასწავლო კურსების გამოცხადების რიგითობა ან გაზაფხულის, ან შემოდგომის სემესტრში და დაშვების წინაპირობის არმქონე სასწავლო კურსების შემთხვევაში მათი გავლა, კონკრეტული გაზაფხულის სემესტრში, მაგალითად, თავად სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული. დაშვების წინაპირობის არმქონე სასწავლო კურსები ხშირად სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ეხმარება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სემესტრული სასწავლო ცხრილების შედგენისას უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის ძირითადი კურსების დრო ცხრილში არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

სტუდენტისთვის სასწავლო კურსების სემესტრული არჩევის, ძირითადი და არჩევითი დისციპლინების თანაფარდობის მექანიზმის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში შესაბამისი კონსულტაციებით, რომლებსაც სტუდენტებს უწევენ ტუტორები მათი სემესტრული ცხრილის დასაგეგმად და სემესტრის განმავლობაში კი პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (sms.tsu.ge), რომელიც მაგისტრანტს საშუალებას აძლევს, თავისი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით, გაეცნოს მის მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს, აგრეთვე მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ზედამხედველობით მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომლის ფუნქციაა სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა, მისთვის სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში დახმარება; მისთვის კონსულტაციის გაწევა; სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში კრედიტების აღებასთან, სასწავლო კურსზე რეგისტრაციასთან, ცხრილთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოგვარება ფაკულტეტის და ცენტრალური ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.

მისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად მაგისტრანტს ქმედით დახმარებას უწევს თსუ ვებ-გვერდზე შექმნილი სპეციალური ბლოგი "სტუდენტური ფორუმი", სადაც განთავსებულ სტუდენტთა შენიშვნებს და სურვილებს, კომენტარებს მუდმივად აკონტროლებს და მათზე რეაგირებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, შემოსულ ინფორმაციას აცნობს პროგრამის ხელმძღვანელს რეაგირების მიზნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თსუ აკადემიურ პერსონალს ადმინისტრაციის მიერ გახსნილი აქვს საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა. სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან - ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია (საკონტაქტო ტელეფონების ჩათვლით), რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსსა და სამუშაო ჯგუფებს თუ პრაქტიკული მეცადინეობებს.

სტუდენტს შეუძლია აგრეთვე თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის, კონსულტაციის და დახმარების მიღება ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებიდან და ადმინისტრაციული პერსონალისგან: დეკანი, დეკანის მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სხვ.

7. **შეფასების სისტემა:**

მაგისტრანტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული

გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც მის მიერ მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს ჯამური 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

91 -100 – ფრიადი, A;

81-90 –ძალიან კარგი, B;

71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D;

51-60–საკმარისი, E;

41-50– ვერ ჩააბარა, FX;

0-40 – ჩაიჭრა, F.

სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმში ჩართული სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკული მუშაობა ითვალისწინებს ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ ლექტორის მიერ სტუდენტთათვის შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპიური შეცდომების განხილვას. შუალედური შეფასებების და ფინალური გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები.

8. რატომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსის სილაბუსის გაცნობა?

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კურსს გააჩნია თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის ნიმუშის შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსზე

დაშვების წინაპირობა, კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა, რომელიც გაწერილია თხუთმეტ სამუშაო კვირაზე. სილაბუსში მოცემულია ინფორმაცია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის შესახებ, ასევე შუალედური შეფასებებისა და სხვა კრიტერიუმებით შეფასების შესახებ.
სილაბუსის სემესტრის დასაწყისშივე გაცნობა ბევრ პრობლემას აგვარიდებს თავიდან!

9. **როგორ გამოვიყენოთ პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები?**

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა სალექციო-სააუდიტორიო სამუშაოს გარდა მოიცავს: დამოუკიდებელი მუშაობის დროს; შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; სასწავლო–კვლევით ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; სხვადასხვა სახის სასწავლო საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი სასწავლო პროცესის მსვლელობის მანძილზე ატარებს ყოველკვირეულ კონსულტაციებს წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით, რომელიც სემესტრის დასაწყისშივე გამოიკვრება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტის, დეპარტამენტის) საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას. სტუდენტს შეუძლია ამ განრიგის მიხედვით მიიღოს ინდივიდუალური კონსულტაცია როგორც აკადემიურ, ისე პროგრამის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით.

ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების უმრავლესობა სამუშაო ფორმატში ითვალისწინებს რეფერატს, ესსეს, პრეზენტაციას. ამგვარი ფორმატი სტუდენტთან ურთიერთთანამშრომლობის განსაკუთრებულ რეჟიმს ითხოვს, რაშიც ინდივიდუალურ კონსულტაციებს ძალიან დიდი როლი აკისრია. სამაგისტრო პროგრამათა კურიკულუმით გათვალისწინებულია აგრეთვე სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მომზადება ასევე სტუდენტთან დიდწილად ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმს თხოულობს.
ზოგადად, სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმი ხელს უწყობს სტუდენტსა და პროფესორს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის ამაღლებას, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.
სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში - სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებისთვის თემის მომზადება-დამუშავების პროცესში, სტუდენტთა მიერ პუბლიკაციების მომზადებისას, სხვადასხვა ტიპის სტუდენტური წრეების მუშაობაში და

სხვ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში მონაწილე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ ლექტორებსა და მკვლევრებს აქვთ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის ფართო საერთაშორისო გამოცდილება. ისინი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, თვალსაჩინო მკვლევრები, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის, სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორები არიან. **ნუ გაუშვებ შანსს ხელიდან, მიიღე მათგან მაღალკვალიფიციური კონსულტაცია ნებისმიერ პროგრამულ საკითხზე!**

10. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

- *სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო თემატიკა* ჩვეულებრივ, სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში დამატებითი ინფორმაციის სახით არის ხოლმე შეტანილი. პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს მთელ სპექტრს იმ საკვლევი თემატიკისა, რომელშიც კონკრეტული ინსტიტუტის თუ დეპარტამენტის პროფესორები მუშაობენ და აქვთ გამოკვლევები. მაგისტრანტს, სასპეციალიზაციო დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, აქვს თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალება საკუთარი ინტერესების შესაბამისად. საკვლევი არეალის სიფართოვე და თემატიკის მრავალფეროვნება ყოველთვის გამოარჩევდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომებს.

- *ძირითადი მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის მიმართ* _ სამაგისტო ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტი კარგად იცნობს და ფლობს საკვლევ ფაქტობრივ მასალას, საკითხზე არსებულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, შეუძლია დამოუკიდებელი კვლევა და ამ კვლევის შედეგების ნათლად ჩამოყალიბება. ასევე სამაგისტრო ნაშრომმა უნდა აჩვენოს, რომ მაგისტრს შეუძლია ნაშრომის სათანადოდ გაფორმება და სტილისტურად გამართვა, მისთვის სამეცნიერო აპარატისა და ბიბლიოგრაფიის დართვა და საჯარო დაცვაზე მისი პრეზენტაცია. ამ ყველაფერზე დეტალური ინფორმაციის მიღებაში მაგისტრანტს დაეხმარება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 28.01.2011 საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი.

11. სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის

განვითარებასა და თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეულ წევრობას, უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტსაც სწორედ სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს.

უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის 140–ზე მეტი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი პროექტების განხორციელებას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებს, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებას, პუბლიკაციების მომზადებას და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრიორიტეტი, არა მხოლოდ სასწავლო პროცესის, არამედ სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვაა, რაც პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას უწყობს ხელს.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური მუშაობს სტუდენტთა პროფესიული ზრდის, სამეცნიერო სტაჟირების ორგანიზების ხელშეწყობის, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, პრეზენტაციების, სასწავლო ექსპედიციების ორგანიზების, სასწავლო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისთვის სტუდენტთა ინფორმირების და კონსულტირების, სხვადასხვა სასწავლო პროექტის და გაცვლითი პროგრამის განხორცილების მიმართულებით.

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს თსუ–სა და მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებს შორის მჭიდრო კონტაქტების ჩამოყალიბება, რაც უმრავლეს შემთხვევაში, ერთობლივი პროექტებითა და სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ–მასწავლებლების გაცვლითი პროგრამებით ხორციელდება. ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის რეგულარულად ქვეყნდება თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებ–გვერდზე.

იყავი ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცხოვრების აქტიური წევრი! რეგულარულად ადევნე თვალი თსუ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდებს!

12. **თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებს სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება და უახლესი და მრავალფეროვანი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა გამოარჩევს!**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმში შეტანილი ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსით გათვალისწინებული

სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, გამოკვლევები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები...) სრულად მოიცავს დარგის აქტუალურ მიღწევებს, სიახლეებს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით დასახული მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევას.
მთელ რიგ საგნებში არსებობს საკუთრივ თსუ აკადემიური პერსონალის მიერ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის შექმნილი ქართულენოვანი ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოები; საჭიროების შემთხვევაში, მითითებულია თანამედროვე, სიახლეებზე ორიენტირებული დამატებითი ლიტერატურა, რომლის მოძიება სტუდენტს შეუძლია თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, ფაკულტეტის ინსტიტუტებისა და დეპარტამენტების ბიბლიოთეკებში, ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით. ყველა სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ პროგრამაში, ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.
საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება ხდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ისე სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო გრანტების ხელშეწყობით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების, კერძო პირების დახმარებით. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები უნივერსიტეტსა და ქართულ გამომცემლობებთან, რომლის თანახმად, გამომცემლობები ვალდებულებას იღებენ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცენ ახალი გამოცემები.

უნივერსიტეტი არის პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის“ მონაწილეთა კონსორციუმის წევრი, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის“ – eIFL” და გამოწერილი აქვს შემდეგი ელექტრონული რესურსები, რომელიც მოიცავს ელექტრონულ ჟურნალებსა და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს: EBSCOHost (http://search.epnet.com), Cambridge University Journals (http://journals.cambridge.org), JSTOR (http://www.jstor.org).